ფასი 10 კაპ.



იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 2



ციხის ცხოვრებიდან.

**ზედამხედველი:** (შემოდის კამერაში და ხმამაღლა ყვირის) პროვეეერკააა! (უცბათ შეშინებული უკან დაიხევს და ღრიალებს) ვაიმე!.. ვაიმე!.. ვაიმე!.. მიშველეთ!.. გაძვრენ!.. გაძვრენ!..

## ხ ვ რ ე ლ ი.

ქუთაისის სატუსაღოს
შესძრომია ფეხ-ქვეშ ხვრელი,
პოლიტიკურ პატიმართა
სარბენი და საძრომელი.
ეს, ტუსაღთა სალოცნებო
და მუდამ ჟამს სანატრელი,
ციხის ადმინისტრაციას
ეზიზღება როგორც გველი.
ჯიქურ ,,სეკრეტს'' მოებჯინა
და ამოჰყო თურმე თავი...
მაშინ იყვნენ ტუსაღები
საქვრეტი და სანახავი!!..
ზოგს ცრემლები მოსცვივოდა
სიხარულის... სანეტარო
და სიზმრადაც მიეჩნია
გასაქცევი ეს მალარო.
ზოგს, აგრეთვე სიხარულით,
სახის ფერი გაჰკრთობოდა,
ორი წამის დაყონებაც
სატანჯველი გახდომოდა...
მაგრამ დადგა წამი იგი
და დაიწყო ხალხმა დენა...
ცოცხლად, უხმოთ მიძვრებოდენ;
მიიმკვდარეს სულთა ქშენა.
მეოცდა თვრამეტე კაცზე,
უცებ კარი შემოილო
და ტუსაღთა მეთვალყურემ
ყველაფერი მსწრაფლ გაიგო.
ფეხზე დადგა მთელი ციხე
და ქალაქის გარნიზონი.
ამის მსგავსი ,,თავხედობა''
არ ჰქონიათ განაგონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭირეს ოთხი კაცი,
ვინც ბოლო-დროს შეძვრა ხვრელში
და ჩავარდენ ბედით კრულნი
აუწერელ სატანჯველში.
დანარჩენებს კვალად სდევენ...
დაე სდიონ!.. რა წახდება?
ნათქვამია: ,,დაგეშილი
ჩიტი ბადეს არ მოხვდება‘‘.

**ეშმაკი.**

## ახალი ამბავი

შავი ქვის მწარმოებელთა კრებას დაუდგენია: რადგანაც ქუთაისიდან ჭიათურაში საბჭოს გადატანა მოუხერხებელია, ვინაიდან გიორგი ზდანოვიჩი არ არის თანახმა ჭიათურაში გადასვლისა, ამიტომ გადმოტანილ იქმნას ჭიათურიდან ქუთაისში შავი ქვის მაღაროები და სხვა ყოველივე მოწყობილობა წარმოებისა, უმთავრესად აწ გაუქმებული სასადილოები.

### „ეშმაკის მათრახი.“

(საზოგადოების საყურადღებოთ).

ჩვენი საზოგადოება **მათრახს** თითქმის ბავშვობიდან იცნობს. იშვიათია მოქალაქე, რომ სადმე იმისი კუდი მაინც არ გაჰკროდეს. მას შემდეგ, რაც ჩვენში ,,თავისუფლება‘‘ შემოიღეს, მათრახი უსაჭიროესი იარაღი შეიქნა.

სწორეთ ამან მაიძულა ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ,,ეშმაკის მათრახი‘‘ არ მიიღოს ჩვეულებრივ სამოქალაქო მათრახად; ბოქაულისა და ეშმაკის მათრახი ერთმანეთს არ აურიოს.

ან კი როგორ შეიძლება მათი ერთმანეთში არევა, როდესაც გარდა იმისა, რომ მათი ობიექტი სხვა და სხვაა, თვით მოქმედებაც სხვა და სხვა გვარი აქვთ. მედიცინის ენაზე რომ ვილაპარაკოთ, ვიტყვით: სამოქალაქო ანუ საერო მათრახი, ეს ,,გარეთ სახმარი‘‘ (Наружное) საშვალებაა; მისი მოქმედება თვალსაჩინოა, რადგან ადამიანის ზედა პირზე ხდება; პირ-იქით ,,ეშმაკის მათრახი‘‘ ეს ,,შინაგანი‘‘ (внутренное) საშვალებაა. ის უმთავრესათ გულსა და გონებაზე მოქმედობს, რასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ რომ ეს უკანასკნელი განძი შერჩენია მის მიერ ნიშანში ამოღებულ საზოგადოებრივ ქვეწარმავალს.

მახინჯ მოაზრესა და ანგარ ,,მოქალაქეს‘‘ ეშმაკის მათრახისაგან ვერაფერი ვერ დაიფარავს. ამგვარ შემთხვევაში ის არ იხელმძღვანელებს არც მათი წლოვანობით, არც მდგომარეობით, არც ეროვნებით და არც სქესით.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ,,ეშმაკის მათრახს‘‘ მიზნათ არა აქვს რისამე ქება და მით უმეტეს **ყველაფრის ქება** როგორც გაზეთ ,,ზაკავკაზიეს‘‘. ის ეძებს წუნს, ნაკლს, რასაც ამ ბოლო დროს დიდი ძიება აღარ სჭირია.

საზოგადოების თითოეული წევრი უნდა ცდილობდეს არსად გაეკრას ,,ეშმაკის მათრახს‘‘, თორემ შემდეგ სინანული გვიანი იქნება:

,,წამხდარსა საქმეს არ არგებს
მერმედლა თითზე კბენანი‘‘.

**ეშმაკი.**



## ჭეშმარიტ რუსთა არჩევნები

*
* *

აბობოქრდა ზღვა მრისხანე,
გადმოლახა მთა და ბარი,
მისი ზვირთი იქაც მისწვდა,
სად არ იყო დასამხარი...
ყველას, დიდსა და პატარას
გულს იმედი ჩაუსახა,
მომავლისთვის თავ-დადება —
იდეალათ დაუსახა...
ბრძოლის ველზე გამოვიდა,
როგორც კაცი, ისე ქალი,
რომ თითოულს მოეხადა
თავიანთი წმინდა ვალი...
მაგრამ...ამ დროს გაიელვა
ცას ღრუბელი გადაეკრა,
ჩამობნელდა, გაავდარდა
ზღვის პირს ნისლი გადაეკრა...
მთა შეიძრა, შეტორტმანდა
მეხმა ძალზე დაიგრგვინა,
ყველა შეკრთა... მისმა რისხვამ
მამაცნიც კი შეაშინა...
მაგრამ — კვალად გამოიდრის
და შეანძრევს ლაღი ზვირთებს,
მთას შესტყორცნის, შეებრძოლვის
ტალღებს უფრო აამვირთებს...

ალ. გერასიმიძე.

### ცოტა რამ მეცნიერებიდან.

**სქესობრივი საკითხი.** ჩვენს ახალგაზრდობას, ამ რეაქციისა და პოლიტიკური უსაქმობის დროს, ძლიერ აინტერესებს ,,სქესობრივი საკითხი‘‘. ამ საკითხში თითქმის ყველანი ერთგვარის ენერგიითა და ხალისით იღწვიან: გიმნაზისტებიდან დაწყებული ვიდრე დირექტორებამდე, განურჩევლათ სქესისა, სარწმუნოებისა ეროვნებისა და პოლიტიკური რწმენისა.

რამდენათაც საკითხი მწვავეა, იმდენათ უფრო საინტერესოთ მიგვაჩნია ღრმათ დასაბუთებული და მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე აგებული საინტერესო წერილი ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერის **ილიკო ნაკაშიძისა** (Закавказье № 203).

მეცნიერი იმ აზრისაა, რომ სოფელში სქესობრივ ლტოლვილებას ნაკლებ გრძნობს ადამიანი, ვიდრე ქალაქში. ამის დასამტკიცებლათ მოჰყავს შეურყეველი საბუთები საკუთარი გამოცდილებისა.

„ერთხელ ქ. ბათუმში მე გავხდი მოწამე შემდეგი მოვლენისა, რომელმაც სერიოზულათ დამაფიქრა: ბათუმში ზღვაში ქალები ბანაობდენ და ადგილობრივი ახალგაზრდობა ურცხვათ მისჩერებოდა მას და ამითი თავისს სქესობრივ ინსტიქტებს აღიძრავდა“.

„მეორეჯერ, გურიის ერთ განმარტოებულ სოფელში შევნიშნე, თუ როგორ შორდებოდენ ახალგაზრდები იმ ადგილს, სადაც ქალები ბანაობდენ, რადგან სცხვენოდათ მათი ცქერა.“

ყველა ამ საბუთების შემდეგ, ვგონებ ბევრი აღარც კი დაფიქრდება და სქესობრივი თავდაჭერილობის აღსაზრდელათ სოფელს მიაშურებს.

სამწუხარო მხოლოდ ერთია! ნუთუ ბ-ნ ილია ნაკაშიძეს არ შეუძლია ამგვარი სამეცნიერო წერილები ქართულათ დაბეჭდოს ,,ნიშადურში‘‘ და მით საშვალება მისცეს ქართველ მკითხველს აღნიშნულ საკითხში გარკვევისა.

ასეთი საყურადღებო გამოკვლევანი ავტორს რკინის გზებშიაც მოუხდენია, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს მოვილაპარაკოთ.

სქესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.

**ოზურგეთი.** „მოქალაქეთა“ კურიაში მეორეთ კენჭის ყრის დროს გავიდა დამსახურებული მოქალაქე ვ. ს. ხუნდაძე, მიმართულებით პროვიზორი.

**სოხუმი.** 6 ხმის უმეტესობით 105 წინააღმდეგ ქალაქის თავი თავდგირიძე გაშავებულ იქმნა.

**დუშეთი.** გლეხთა, წვრილ მემამულეთა და მოქალაქეთათვის არჩევნების გასაადვილებლათ ადმინისტრაციამ ქ. თიანეთის მცხოვრებნი დუშეთს დაიბარა. კიდევ კარგი, რომ ამავე დროს დუშელები თიანეთს არ დაიბარა. 11 ხმის უმცირესობით 102 წინააღმდეგ „თავისუფალ“ ფედერალისტთა კანდიდატი ყარანგოზოვი შავ იქმნა.

## ქართველი „ზუბრი“ მგოსანი.

ოღონდ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას კი ეხებოდეს და ჟურ. „ნიშადური“ თუ გინდა უკიდურეს სისულელის დაბეჭდვასაც არ დაერიდება. აღნიშნული ჟურნალის მეშვიდე ნომერში, საიდანაც იყო და არ იყო გამოტყვრა ვიდაც პოეტი თავდგირიძე, რომელსაც ისე უხდება „მგოსნობა“, როგორც ძროხას კურტანი.

ადგილის სიმცირე რომ ხელს არ გვიშლიდეს, „თავდგირიძური ტალანტის“ სანიმუშოთ მთელათ მოვიყვანდით ამ საარაკო სიმახინჯეს აზრისას. პატივცემულ ავტორს გაუგონია, პოეტის მიბაძვა შეიძლებაო და ის კი ვერ გაუგია, რომ არის მიბაძვა და არის მაიმუნობა.

„ათას ცხრაას ოცდა ჩვიდმეტს,
როს ილია დაიბადა,
დედა მ ი ს მ ა თ ი თ ო ბ ა ვ შ ვ ი
ქართულ ჰანგზე გამოზარდა“.

დიახ გამოზარდა, მაგრამ თქვენ სად გაიზარდეთ დიდებულო მგოსანო-და სად ისწავლეთ ასეთი „თითო ჰანგები“? ყოველ შემთხვევაში ასეთი ჰანგების შექმნისათვის გვარიც საკმარისია თქვენი, მაგრამ ისტორიის სახელით გევედრებით: „გვაჩუქეთ თქვენი ძვირფასი სახელიც!“ საჭიროა ისტორიამ იცოდეს: რომელი თავდგირიძე პოეტია ეს, „ერთსა“ და „თითოს“ რომ ვერ არჩევს. მაგრამ შეიძლება ეს ძველი ქართულია?

„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
თამარ-მეფის გმირობაზე
ვმღეროდით და ყურს ვუტკბობდით“
ქვევით.
„საქართველოს ისტორიას
ვუკითხავდით მით ვართობდით“.
ქვევით.
„მერმე, როცა ასე გაზრდით
ის შეიქნა ვარგებული,
რუსეთიდან დაგვიბრუნდა
ცოდნით ჭკუით ფას დებული.

სწორეთ საოცარია: ჩვენი მგოსანი თავდგირიძე აქ საქართველოს ისტორიას უგალობდა და ილია კი რუსეთიდან დაუბრუნდა. მაგრამ საქმე ეს არ არის. საქმე ის არის, რომ ამ დროს რა ვაკეთეთ და რას ვშვებოდით?

„ბანკის მოვლა-პატრონობა
იკისრეო ვაძალებდით
მერმე, როცა ჩვენი ბანკის
საქმე კარგათ მიდიოდა
სარგებლობდა წესიერად
ზარალი არ მოსდიოდა...
რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“

ეს მარტო საქართველოში შეიძლება, რომ თავად-აზნაურთა ბანკის პატრონობა ისე, რომ „ზარალი არ მოსდიოდეს“ საზოგადო მოღვაწეობათ ჩაითვალოს და სახალხო საქმეთ დაისახოს. მაგრამ ჩავყვეთ ქვევით.

„ჭავჭავაძის თხზ ლებითა
ყველანი, რომ განვითარდით,
თავადნი და გლეხნი ჩვენს თავს
ანასწორათ, მამებად ვრაცხდით“.

როგორც ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, ჩვენი წმინდა სისხლიანი, კეთილ-შობილი პოეტი, მეტის მეტათ განვითარებულა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მას არა თუ სხვა რამე, არც ილიას ნაწერი წაუკითხავს, თორემ დამერწმუნებით ასეთ სისულელეს არ დასწერდა. დღეს ნათლათ გამორკვეულია „განვითარებული“ თავადებისა და გლეხების ძმობა.

„როს ოთხმოც-ათიან წლებში
ჩვენში გამოჩნდენ „დასელნი“
რომელთაც ერს უკარნახეს
სულ სხვა ჭირი და სხვა სენი“.
„მერე, რომ სენი მოგვედო
ხოლერაზე უარესი,
მოზარდ ბალღებს შეაზიზღეს
ქართვლის ძენი უკეთესი“
„მერე როცა კრძალვით, მალვით
სენი ძვალ-რბილში გაგვიჯდა
ხალხს ილია შევაძულეთ
უგნურობა მას მტრათ სთვლიდა.
რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“

უნიჭო თავადის თავს ამის დაწერაზე მეტი რაღა უნდა გაეკეთებია. პატივცემული ქართველი „ზუბრი“, ძლიერ გვიან მოსულა პოეტობის იშტაზე და თუ არ ვსცდები იმდენათ გონიერი კი გამოდგება, რომ ეს მისი ნაკეთები ლექსი უკანასკნელი დარჩეს. ალბათ დღევანდლამდე ეს მგოსანიც სამყაროს სივრცეში დასცურავდა, თორემ მისი მძლავრი კალამი უთუოდ მოსპობდა „ხოლერაზე ვარეს მოდებულ სენს“.

„რა ვაკეთეთ კიდევ მკითხავ?
ნუ თუ აღარ დამეხსნებით?
—ისა ვქენით, რომ ქართველნი
ყველა ერებს ვეჯავრებით!“
მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას
ხასან-ბეგი თავდგირიძე,
განრისხული ხვთისგან მეტი...

პატრონობდა, ჩვენ ყველა ერებს ვუყვარდით, ხოლო დღეს, როდესაც ქართველი „ზუბრები“ შეთხელდენ და მოწინავე მებრძოლ რაზმში ქართველი გლეხი და მუშა წამოდგა, ჩვენ ყველა ერებს ვეჯავრებით!

მაგრამ „ზუბრო“ აწ კი კმარა,
სხვაც გვინახავს ჩვენ მასხარა
თავდგირიძის მინაგვარი
უნიჭო და მატყუარა.

№

## ეშმაკის მოგზაურობა.

სამეგრელო, ეს ჩემი საყვარელი კუთხეა! უფრო იმიტომ მიყვარს ეს დალოცვილი მხარე, რომ ერთობ ღვთის მოყვარე და კეთილი საქმის მოქმედია წმინდანებსა და უქმეებს ამრავლებს.

უწინარეს ყოვლისა, მაზრის უფროსი ვინახულე. მართალია დიდ ხანს დამჭირდა ლოდინი, ვინაიდან ის ამდროს სამეგრელოში შიმშილს სპობდა პატარა წერილის საშვალებით, მაგრამ ბოლოს მაინც გავხდი ღირსი მათი ხილვისა.

— სწორეთ ახირებული ხალხი ხართ, ბ-ნო ეშმაკო, გაზეთის მწერლები. მიკვირს საიდან მოიგონეთ, რომ სამეგრელო დამშეულია? მე თითონ დავიარე სამეგრელო... მაგრამ სამეგრელოს დავლა რა საჭიროა. აი თუნდა მობრძანდით სტრაჟნიკების სადგომში, ვნახოთ ცხენებს როგორ აპატივებენ...

ჩვენში კი დარჩეს და ეს მიპატიჟება არაფრათ მეჭაშნიკა. სხვაგან კიდევ ჰო, მაგრამ სტრაჟნიკების სადგომში ჩემი მტერი შევიდა. ქვეყანამ იცის, რომ ახლა სტრაჟნიკები სრულის თავისუფლებით მოქმედებენ. მაგრამ მეტი გზა აღარ იყო და გიახელი. ბედაური ცხენები მართლაც გულდასმით ახრამუნებდენ ქარვა სიმინდს. იქვე ტომრებით კიდევ კარგა ხნის საგზალი იდგა.

— აი ბ-ნო ჩემო, ნახეთ, განა ეს არის სიმინდის სიძვირე? პირიქით სამეგრელო ყველა კუთხეებზე ბედნიერია. ესეც რომ არ იყოს ჯერ მარტო ის ფაქტი რათა ღირს, რომ მეგრელებმა პარასკევი გააუქმეს?

მე განცვიფრებაში მოვედი! ჩემის აზრით არცერთი მეგრელი არ იყო სტრაჟნიკის ცხენსავით ბედნიერი, რადგან გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელს მათრახი თუმცა ცხენზე მეტი ხვდება, სამაგიეროთ სიმინდი არა აქვს საკმაო. ამასთანავე სტრაჟნიკის ცხენზე მარტო სტრაჟნიკი ზის, ხოლო მეგრელ გლეხ-კაცზე მთელი ადმინისტრაციაა მოკალათებული.

— როგორ, ბ-ნო ჩემო, შევეკითხე მე;

რა მოსაზრებით გააუქმეს პარასკევი, ნუ თუ სიზარმაცით?

— აკი მოგახსენეთ, თქვე დალოცვილო, კვირეში ხუთი დღის შრომა სრულიად საკმაოა მეგრელისათვის ასეთ მდიდარ ბუნებაში და რისთვის გაიმწარონ თავი პარასკევს მუშაობითაც?!

სწორეთ გავკვირდი.

* *
*

მაგრამ იმით კი არა, რომ ცრუ მორწმუნეობით გაჟღენთილმა სამეგრელოს ხულიგანებმა პარასკევი გააუქმეს და მიკიტანი კირთაძე გააწმინდანეს, არამედ იმით, რომ ქ. ოზურგეთში კიდევ დარჩენილა 84 კაცი გარეშე ხულიგანებისა. თქვენც დამერწმუნებით, რომ ეს მართლაც და საკვირველებაა. მთელი წარჩინებული ძალა გურიის სატახტო ქალაქისა იმის ცდაშია, რომ კაცთაგან გასწმინდოს ქალაქი და აქ ხედავს, რომ 84 კაცი კიდევ დარჩენილა. გურიის „ზუბრებს“ არაფრად ეჭაშნიკებათ ეს აღმოჩენა!

ოზურგეთის „მოქალაქეთა“ ღირსეული „წარმომადგენელი“ გამარჯვებული სახლის მამლის მედიდურებით დააბიჯებდა ქალაქის ტროტუარებზე და მადლობის თვალით გადაჰყურებდა თავის „ამრჩევლებს“.

შემეზიზღა ქალაქი ესე და გაქცევა დავაპირე,

* *
*

მაგრამ გამახსენდა „ჟანის“ ამბავი. იმანაც ვითომდა გაქცევა დააპირა!! ეჰ, უსამართლობავ, სადა არს სიწითლე შენი! საბრალო ჭაბუკი ორი დღე ეგდო „საყვირიაზე“ ყვავ-ყორანთა საწიწკნათ მტარვალის ხელით გაგმირული. განა ვისთვის არის საიდუმლო, რომ იქ, სადაც სტრაჟნიკებმა ჟანი მოჰკლეს გაქცევა ყოვლად მოუხერხებელი და უაზრობა იქნებოდა! „ჟანი“ გაიქცაო! მაგრამ ის გადანათრევის კვალი რაღა არის, რომელიც ჯერ კიდევ არ წაშლილა „საყვირიას“ გზაზე?

დიახ, დიდია ცოდვა ჩვენი, იმდენათ დიდია, რომ ვერც ათასი ხარლამპე ძაძამიასმიერ ხელებზე ამბორი გამოისყიდის მას.

ეშმაკი.



სტიპენდიანტების ვარჯიშობა.

## სტიპენდია.

ერთხელ... ერთ კვირას,
პადვლისა ძირას
ისხდნენ ჭაბუკნი მოქეიფენი;
მამულის ტრფობით
და არშიყობით
იცნობდით იყვენ ივერის ძენი.
მამა-პაპურსა
წითელ კახურსა
ჯიხვისა ყანწით გადახუხავდენ
სამშობლო ხმებით
და შეთანხმებით
მრავალ-ჟამიერს მედგრათ ქუხავდენ:
გულ-შესაზარი
ბოთლების ჯარი
მუნ იდგა მოწმეთ პირ-დაღებული
და ტარიელი,
„გიჟი ქართველი“,
ტიკს მისწოლოდა გალაღებული.
სუკისა მწვადი
უცხო ფერადი
მოქეიფეთა გულს აამებდა
და თითეული
ღვინოთ ქცეული
დღესა ამგვარათ დაალამებდა.
მათ შეუტყვიათ,
რომ „იქ“ უქიათ
ამათი ღვაწლი „მამულისათვის“
და სტიპენდიას
ოცდა ხუთიანს
კვლავ მიიღებენ ამ ზამთრისათვის.
ასეა მუდამ,
თუ გიძმო გუდამ,
თუ დაეწაფე „ეროვნულ“ კითხვას
მაშინ ყოველი
„წმინდა ქართველი“
არც ფულს დაგაკლებს, არცა მოკითხვას.

ეშმაკი

## ნაწყვეტები.

### ე-მეს სიმღერა.

ხალხში რომ ვარ, ხალხიც მიყვარს
და მთავრობაც გულითაო;
ამ ორპოფობით ვისუქებ
ჩემ ჯიბეებს ფულითაო.
სულით რეაქცია მომწონს,
სიტყვით ჩვენი ნაციაო,
და ნუ თუ არ უნდა ვაქოთ
ჩემებრ მარჯვე კაციაო;
ტალმაჩევიც კი მწყალობდა,
კაცი ერთობ დიდიაო;
ის რო აქ დაბრუნდებოდეს,
მაშინ: „ჰეი გიდიაო!“

გზირი.

—

### ამონაკვნესი.

მიდის დღენი, თვენი, წელნი
შეუმჩნევლად მეპარება:
გულს მიწამლავს კაეშანი
სიმშვიდე არ მეკარება.
მუდამ დარდი და ვარამი,
მუდამ კრულვა, მუდამ წყევა.
ეს უზომო სატანჯველი
ნეტავ როდის დაილევა.

ალ. გერასიმძე.

### სიზმრის ახსნა

1. **ქურდი ნახო ფიცისა მღალადებელი მამალისა კუდით ჩოხისა ქვეშე გამოჩინებული** საცინელია: ყოველთა ჟამთა შინა სანახაობა ესე მოასწავებს პარტიასა „ადგილობრივ“ სოციალისტთასა, რომელნიც ფიცითა თვისითა იქმოდიან „ბოიკოტსა“ არჩევნებისა მის მიმართ, ხოლო კუდი იგი მოქმედებისა მათისა ნათელ ყოფს მონაწილეობასა მათსა „საჩხირკედლაოსა“ საქმესა მას შინა.

2. **მწვადი გესიზმროს მცვრიანი,**
**ბროწეულის საწებლიანი,**
**წითელი ღვინო კახური**
**და ყანწი ჯიხვის რქიანი**— კეთილია:
„საზოგადო მოღვაწისა“ წილ სიზმარისა

ამისა ნახვა ჟამთა ყოველთა შინა მოასწავებს ადგილისა ,,თფილისა'' და მყუდროისა მიღებას ,,ეროვნულისა'' საქმისა წიაღსა შინა.

სტუდენტისა წილ სიზმარი ესე ახდების სტიპენდიისა მიღებით, ხოლო პოლიციელთა მათ წილ, ხილვა სიზმრისა ზემორე ლექსიკონისა, მოასწავებს ჟამსა არეულობისასა, ოდესცა ქონება კერძო კაცისა არა განირჩეოდეს ქონებისა მის პოლიციელისაგან, რამეთუ დამყარდეს ქვეყნათ ,,კომუნა'' იგი პოლიციური.

3. **კბილი ნახო საცოხნელი, მღილისა მიერ ნახრავი**—ცვალებადი: ჟამსა რომელსა ტუსაღთა წილ სანახაობა ესე ახდეს კეთილად, რამეთუ მოასწავებს ხვრელსა მას ციხისა ქვეშე ვლებულსა პატიმართა პოლიტიკურთა ხაძრომელად.

ვაჭარისა წილ სანახაობა ესე ავად ახდების, რამეთუ მოასწავებს გახვრეტასა კასისა ოქროთა განსაპარავათ.

სხვათა კაცთა წილ და ჟამთა სხვათა შინა სიზმარი ესე ახდების უბრალოთ, რამეთუ მოასწავებს მცირედსა წყენინებასა.

---




დუმის არჩევნები თფილისში

## ბოქაულის ნაამბობი.

—

,,ხუთმეტი წლის პრაქტიკა მაქვს..
შიში ვჭამე ათასგვარი,
მაგრამ დღემდე არ მინახავს
საქმე ესდენ შესაზარი!!..

ყოვლის მხრიდან გავამაგრეთ
საარჩევნო ციხის კარი,
და გვეგონა ,,კრამოლისთვის''
გზა მოისპო ყოველგვარი.
წინ, ერიშის მოსაგერათ,
გავიკეთეთ თავსაფარი,
**,,საარჩევნო კანონები''**
სამ თიბათვეს გამომცხვარი.
სენატისგან განაწრთობი
მახვილია პირ-მაგარი,
ხელ ჩართულ და ცხარე ომში
ნაცადი და უებარი.
მოწინავე რაზმათ გვყავდა
დიდებული ,,ზუბრთა'' ჯარი,
ურცხო ნაშთი წარსულისა
კამეჩების მინაგვარი.
პოლიციას თუ იკითხავთ:
ირეოდა ათას გვარი,
ალარავინ დაჰკლებია
გუბერნატორს დაბლა მდგარი.

სპათა რიცხვის განსადიდათ
მიუმატეთ ცოცხალს მკვდარი...
(ასე შვება კრუშევანი
კიშინევის სპასალარი).
დაიწყო არჩევანები...
საქმე კეთილად ვიდოდა:
ყოველის მხრიდან საამო
დეპეშა მოგვივიდოდა.
მაგრამ დრო დადგა განკითხვის
ყუთსა ავხადეთ სარქველი''..
აქ ,,ხუთმეტი წლის'' ბოქაულს
სიტყვა დაება სათქმელი;
სახეზე ფერი გადაჰკრა
ხელმა დაუწყო კანკალი,
ქოჩორი ყალყზე აუდგა
და წახდა კაცი კაკალი.
თურმე ნუ იტყვით: ყუთიდან
,,კრამოლა'' ამომართულა...
ამ დაბრკოლების შემდეგაც
მაინც ,,ეს-დეკი'' გასულა.

**ეშმაკი**

## ბათუმის ამბები

— „ბოიკოტის ტაქტიკა“ რუსეთში არც ერთ პარტიას ისე მტკიცეთ არ დაუცავს, როგორც ბათუმის ფედერალისტებმა. 24 ენკენისთვეს არჩევნებზე მთელი ბათუმის „ფედერაცია'' უკლებლათ ($3^1/_2$ კაცი) გამოცხადდა, მარა ყველამ თავი შეიკავა და იჯმნა ყუთებისაგან. ამიტომ ს. დ. გავიდენ.

— ბათუმის ექიმთა საბჭოში ამ ჟამათ დიდი ქარბუქია ატეხილი. ებრძვიან ერთმანეთს ორი ექიმი, — ტრიანდოფილდი (აქაური მიწათ მფლობელი) და იერუსალიმსკი. პირველი ასაბუთებს, რომ ბათუმი საავარაკოთ საუცხოვო ადგილია. მეორე კი პირველის უსაბუთობას. დანარჩენი ექიმები ყველანი ერთ დასკვნამდის მისულა: იმათი აზრიდან ან ერთია მართალი და ან მეორე.

ბლიკვაძე.

— ამ დღეებში აქ ხმა გავრცელდა თითქო ვასო შალიკაშვილს, 14 სექტემბერს, ხუთი კაცი დაეჭიროს საარჩევნო პროკლამაციების ბეჭდვაზე. დაუჯერებელი ამბავია.

— 28 სექტემბერს ბათუმის და ქუთაისის ციხის ადმინისტრაციამ, ციხის ძირის გახვრეტის გამო ერთი-მეორეს სამძიმრის დეპეშები გაუგზავნეს და თანაგრძნობა გამოუცხადეს.

— ქალაქში ძლიერ აიწია ლუქის ფასმა, რადგან რაც ქალაქში ლუქი იყო „ჩერნ. ვესტნიკის“ და „ბათ. გოლოს.“ სტამბებს დააკრეს.

— ამას წინეთ ბათუმელი კორესპონდენტი იუწყებოდა, რომ აქაურ ასოთ-ამწყობთა საქმე თეირანში გადააქვთ გასარჩევათო, როგორც გავიგეთ თეირანიდან უკვე მოსულა შემდეგი დადგენილება:

1. განახლდეს აწ განსვენებულ გაზეთ „Батумскій гол“-ის გამოცემა.

2. რედაქტორათ დაინიშნოს ზარის მოთამაშეთა ბიუროს თავმჯდომარე და გამომცემლათ მისი თანაშემწე...

3. ასოთ-ამწყობნი მიიღებიან ამორჩევით.—ვინც დახელოვნებულია ზარის თამაშში.

4. ადგილობრივი ასოთ-ამწყობნი იქნებიან „ზაპასათ“, და თუ „პახმელიის“ გამო (რაც ხშირათ ხთება) სასოწარკვეთილებაში ჩავარდენ მხოლოდ მაშინ მიეცეთ სამუშაო.

5. თავისუფალ ადგილზე, მოწვეულ იქნას ნათესავი ძმა ბიჭები.

6. სამუშაო დღე რვა საათის მაგიერათ 10 საათი.

# პროვინცია

**ჭიათურა.** გაზეთი „შურდულის“ პასუხი, ვითომც ჭიათურის საავათმყოფოს შესახებ წერაში იმდენი მელანი დაიხარჯა და ახლა არაფერი იქნება საწერიო, სიმართლეს არ შეესაბამება. ჭიათურის საავათმყოფოს ნაკლს კიდევ დასჭირდება ერთი-ორი ყანწი მელანი.

ილიკო ბახტაძე არ ერიდება მელნის ხარჯს და ადგენს იმათ სიას, რომელნიც კი განაცხადებენ არტელში ჩაწერის სურვილს. ვადა სამი დღე ლა დარჩა და ზღვა ხალხი აწყდება მის სადგომს

კაკილა.

—

**საჯავახო.** 28 ენკენისთვეს ჩვენს ბაზარს ეწვია აბაშელ სტრაჟნიკთა რაზმი „მანევრების“ მოსახდენათ. აქაც გაუჩნდენ რასაკვირველია პატივის მცემელნი და ტაბლაზე მიიპატიჟეს. შექეიფების შემდეგ სტრაჟნიკებმა ჯერ მასპინძლები გაამათრახეს და შემდეგ გარეშენი. ბოლოს დაიწყეს დუქნებში ჯირითობა, ზოგან, სადაც დუქანს ვიწრო კარები ჰქონდა, ცოტათი ხელი შეეშალათ, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდენ და ვიწრო კარიანი დუქნის პატრონს ამათრახებდენ. ღამით ცხენები ყანებში შეუშვეს. მეორე დღეს, როგორც იქნა წავიდენ მაგრამ გზაზედაც ჩხუბი მოსვლოდათ და ერთმანეთი დაუჭრიათ.

განკიცხული.

—

**სიღნაღი.** საზაფხულო თეატრის არტისტმა „ბარონმა ფონ ბუტლემ“ ამ დღეებში ერთი ფოკუსი მოახდინა „ოცდახუთიანის“ შესახებ. საზოგადოება ერთობ გაოცებული დარჩა ბარონ ფონ ბუტლეს მოხერხებით. საქმე ასე იყო: ბ-ნ მდივანს ჯიბეში ორი 25 მანეთიანი ჰქონდა. ერთი ბუფეტჩიკს გადასცა, ხოლო მეორე ჯიბეში ჩაიდო. ბარონმა მოჰკრა თვალი და მოინდომა თავისი სასწაულის გამოჩენა. „ალე ჰოპ“-ო გაიფიქრა გუნებაში და შეხედოთ, რომ ჯიბეში ჩადებული 25 იანი აღარ არის. დაჩხრიკეს ყველაფერი და. ჯერი ბარონ ფონ-ბუტლეზე მიდგა. გახადეს ყველაფერი და განცვიფრებულ საზოგადოების წინაშე დანაკარგი 25 იანი ფეხსაცმელიდან ამოიღეს.

სიღნაღელი შვილი.

## ქართველი მოღვაწეები.



**ნიკო ნიკოლაძე.**

წარჩინებული ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე მეცხრამეტე საუკუნისა.

მოღვაწეობა ნიკოლაძემ დაიწყო მესამოცე წლებში. უმთავრესად თანამშრომლობდა რუსულ პრესაში, ქართული არ ეხერხებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო ნამდვილი ქართული გაზეთი ივერია მას ასეთ საახალწლო კუპლეტს უძღვნიდა.

„ერთი ცხოველი გვინახავს
გორსა თუ ახალგორსათ,
თავისთვის მუტრუკს აკეთებს,
სხვებს გაუკეთებს ჯორსათ“.

ნიკოლაძე სცემდა რუსულ გაზ. „ობზორ“-ს, რომლის გამო სამართალში იქმნა მიცემული და საქმის გარჩევის დროს შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა.

ბოლო ხანებში ნაკოლაძემ ქართულ მწერლობასაც მოხედა. თანამშრომლობდა მაგალითად „მოამბეში“ სადაც სხვათა შორის დასწერა შესანიშნავი წერილი: **„რა უშველის თავად-აზნაურობას“.**

ამავე ხმნებში ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობდა „ნოვოე ობოზრენიე“-სა და ველიჩკოს „კავკაზში“.

დასასრულ, 1905 წელს, ნიკოლაძე უკანასკნელად გამოჩნდა „ვოზროჟდენიე ს ფურცლებზე, სადაც პოლემიკას ეწეოდა „ყარიბთან“. მას შემდეგ ის, როგორც პუბლიცისტი აღარ სჩანს.

სამაგიეროთ მისი საზოგადო მოღვაწეობა ჯერ კიდევ მიმდინარეობაშია. ათ წელიწადზე მეტი იქნება რაც ის ფოთის ქალაქის თავათ არის და ამ ხნის განმავლობაში ასჯერ მაინც იქნება პეტერბურგში განამგზავრები.

სოფელ ჯიხაიში (სადაც ნიკოლაძე ცხოვრობს) ნიკოლაძის მეოხებით გამოყვანილია ცხენის წყლის ტოტი. იმ დროს, როცა ეს წყალი გამოჰყავდა ჩვენი გლეხკაცობა სულ სხვა დონეზე იდგა და მისი რომელიმე სასარგებლო საქმეში აყოლება ძნელი იყო.

აქაც თურმე ასე მოხდა: ნიკოლაძემ თითქმის ყველანი დაარწმუნა, რომ წყალი სასარგებლო იქნება სოფლისათვისო, მაგრამ ვერ დაიყოლია ერთი გავლენიანი გლეხი, რომელსაც ძლიერ უჯეროდა ხალხი. ამის გამო წყლის გამოყვანა ფერხდებოდა. ერთი ბაასის დროს ნიკოლაძემ იხმარა მთელი თავისი მჭევრ-მეტყველება და ახსნა სოფლისთვის წყლის საჭიროება. ჯიუტი გლეხი მიხვდა საქმეს და იყვირა.

— მივხვდი ბატონო, მივხვდი რომ მართლა საჭირო ყოფილა. უშველეთ შენი ჭკუა ჩემს თავში გადმოვიდაო.

ნიკოლაძემ მოიძრო თურმე თავისი ქუდი და მორჯულებულ გლეხს ჩამოახურა თავზე.

— აბა უფრთხილდი რომ ჩემი ჭკუა უკანვე არ ამოფრინდესო.

თუ ზეპირ გადმოცემას დაუჯერებთ, თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში ნიკოლაძე პოლიტიკურათ არა საიმედო პირი ყოფილა, რისთვისაც ბევრი უსიამოვნება შეხვედრია. ბოლო ხანებში ის ამ მხრივ უზრუნველ ყოფილია.

გასულ საარჩევნო წელს, როცა სამი ივნისის კანონი არ არსებობდა და დაბალი ხალხის უფლება ამ ზომ შეკვეცილი არ იყო, ნიკოლაძე გააშავეს. წელს კი ფოთის მოქალაქეებმა ჟვანიას მეთაურობით ის აირჩიენ ვიბორჩიკათ.

დღევანდელ პარტიებში ნიკოლაძე უფრო კადეტებს შეეფერება თუ მარჯვნით არა.

---

## განსხვავება

(ღამით კონდუქტორი ვაგონებს ათვალიერებს)

**პირველ კლასში:** — გავბედავ და უმორჩილესათ გთხოვთ ნება მომცეთ გავიარო. მაპატიეთ შეწუხება.

**მეორე კლასში:** — გთხოვთ, ბატონო, გამატაროთ. მაპატიეთ.

**მესამე კლასში** — ეი! შენ! როგორ პარასკევსავით გაგძელებულხარ! მისწი ფეხი; ადექი ჩქარა! დეეყრებიან წყეულები, ასე გონიათ შინავართ.

---

## პასუხი „ნიშადურიან“ X-სს.

„ერთი ადილუია მღვდელსაც შესცდებაო“ ნათქვამია და ჩვენც მოგვეტევება. „შურდულის“ მესამე ნომერში შეცდომით მოვიხსენიეთ: „ირაკლი ღლონტმა მოსკოვის კურსებიდან დაბრუნებისათანავე მოხსენება წაიკითხაო“. ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე. კურსების შესახებ მოხსენების წაკითხვა ირაკლის და არც სხვა მის თანამგზავრს აზრათ არ მოსვლია. ეს მოვალეობა როგორც გამოირკვა ჭრა-კერვის „უჩიტელნიცას“ ქქონია მინდობილი.

ახლა ბ-ნი X აგვხირებია საზამთრო პალტოების „პრეის-კურანტი“ გვაცნობეო. ამ დალოცვილს ის არა სჯობდა ამ კითხვით ისევ ირაკლისათვის მიემართა? ესეც ხომ მოეხსენება არ არის თქვენ დალოცვილო?! თუ იქ ვერ მიიღებდა საჭირო პასუხს, მაშინ ჩვენ ავუსრულებდით გულის წადილს; ამიტომ კვალად და კვალად ძველ ადრესზე მივუთითებთ ბ-ნ X-სს.

ბლიკვაძე.

---

## დეპეშები.

**ყარაბახი.** 24 სექტემბერს მოხდა ვირთა დიდებული მიტინგი. ინტელექტუალური განვითარების მხრივ ადგილობრივნი ვირნი გაცილებით მაღლა დგანან სხვა კავკასიელ სახედართა ზედა და ყოველგვარ კეთილ სიტყვას პირველნი აძლევენ გამოძახილს.

უპირველესი საკითხი მიტინგისა გახლდათ მისალოცი დეპეშის გაგზავნა „ნიშადურის“ რედაქტორისა და მის თანამშრომელ „რიშ-ბაბას“ სახელობაზე.

ცხარე კამათის შემდეგ, იხელმძღვანელეს რა სპარსული ანდაზის სწავლებით, („ბრძნების ბაასი თანხმობით თავდება“ „ნიშადური“ № 7. „რიშ-ბაბა“) დაადგინეს გაიგზავნოს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ამხანაგო რედაქტორო! შეკრებილებამან ყარაბაღის მობინადრეთა ერთხმათ დაადგინა პატივცემული ორგანო თქვენი „ნიშადური“ თავის პარტიულ ორგანოთ აღიაროს და ჟამისა ამიერ მფარველობისა და მზრუნველობისა თვისისა ქვეშე იქონიოს. ამასთანავე უგულითადესს სალამსა ძმურსა მოუძღვნის ბრძენსა თანამშრომელსა თქვენსა „რიშ-ბაბასა“ მთელი შეკრებულება ჩვენი, „ნიშადურსა“ შიგან აზრითა ჩვენითა ბჭობისა წილ. ვსულდგმულობთ იმედითა იმითა, რომ კვალად და კვალად ორგანოსა თქვენსა არა მოაკლდების „ფიქრნი ვირისანი“ და მედგარი ხმა თქვენი არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, არამედ მეოხებითა თქვენითა მიგვიყვანს საერთო მიზნამდე. მაშ გაუმარჯოს ჩვენს ერთობას და აზრთა ჩვენთა სოლიდარობას!

მიტინგის მონდობილობით თავ. ი. ყ. დიდყუროვანი.

**ოზურგეთი.** გორგასლიძემ დაიჩემა:
მარტო მე ვარ კაციაო,
მასწავლებლები გავფანტე:
მუცუცა და ფაციაო.

გზირი.

**ქუთაისი.** დიდიმ ჩიკვაიძე უძლებათ შეიქნა. ვერაფერმა წამალმა ვერ უშველა. ააშენოს ღმერთმა ისევ მელიტონ აბაშიძე: ერთი ს. დ. საარჩევნო ბიულეტენი გაახევინა და დიმმა თავი ცოტა უკეთ იგრძნო, თუმცა იმისი სრული განკურნების იმედი აღარავისა აქვს.

**სად. სუფსა.** 30 სექტემბერს სუფსის სადგურზე ერთი უბედურება დატრიალდა. მატარებლის მოსვლისას ადგილობრივ მდგომმა სალდათებმა მატარებელს ალყა შემოარტყეს და რამდენიმე უბილეთო მგზავრი დაატყვევეს. მათ შორის აღმოჩნდა ლანჩხუთის ბოქაული მიქიაშვილი თავის ინგუშებით. მიქიაშვილს 51 მანეთი და 30 კ. გადაახდევინეს ჯარიმა და გაანთავისუფლეს. ამ საარაკო ამბით ყველა გაკვირვებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სად. მიხაილოვი.**—მიხაილოვის სადგურის კასაში სამგზავრო ბილეთები გაუიაფებიათ. სამ აბაზიანი ბილეთი თხუთმეტი შაურიდან მანეთამდე ფასობს. მატარებლის დაძვრამდე მუდამ ჟამს შეიძლება ბილეთების მიღება. კასსირი ისეთი კაი გულის პატრონია, რომ ხშირათ მოზრდილებსაც აძლევს საბავშვო ბილეთებს.

საზოგადოთ მთელ დაბაში დიდი მყუდროებაა, რომელსაც მხოლოდ კვირა უქმე დღეებში არღვევს მოქეიფეთა ღრიალი.

**ბათუმი.** ქალაქის მასწავლებლებმა ავანსათ გაიტანეს უპრავის კასიდან ექვს-ექვსი თვის ჯამაგირი. საზოგადოთ ქალაქის მოსამსახურეთა უმრავლესობა ეკონომიურათ უზრუნველ ყოფილია.

**ფოთი.** იონა მეუნარგია უკვე შეუდგა სადეპუტატო ნაციონალური ტანისამოსის დამზადებას. სხვათა შორის სვანეთიდან გამოუწერია ძვირფასი თხისტყავის ხალთა და თუშეთიდან ნამდვილი თუშური ნაბადი.

**მოსკოვი:** სულთა თანა აღსრულებულთა „მართალთასა“ განუსვენა „მოსვლის უწყებათა“ რედაქტორმა გრინგმუტმა. ჯოჯოხეთს კვალად მოემატა ერთი მეუგუზალი.

**ადესა.** ხულიგანთა თარეში
ხუთმეტია ლამეში.

**ეგვიპტე.** ყველა გზები გაჰკრეს რუსეთის. მთავრობის თხოვნით. პიროვნების შეუმოწმებლათ აღარავის უშვებენ. რეპრესიებს კავშირი აქვს ქუთაისის ციხიდან ტუსაღთა გაქცევასთან. გუშინ წინ დაიჭირეს ორი უცნობი. გამოძიება სწარმოებს.

**ტოკიო.** დღეს ორმა ფოსტალიონმა მოიტანა რუსეთისაგან აღებული კონტრიბუცია 48 მილიონი მანეთი. იაპონიის საზღვრებამდე ფულს 27 პოლკი და სამი ბატალიონი ჯარის კაცი მოჰყვებოდა მცველათ.

---

**ეშმაკისადმი მინაწერი:**

შენი ჭირიმე ეშმაკო!
ოზურგეთს ჩამოფრინდით;
ერთი უცხუნე ვაჭრებსა
შენი მათრახის კუდით.
ეგების მიხვდენ საწყლები,
თავი რომ შეირცხვინესო,
ფოთსაც კი უკან ჩამორჩენ
და მტრები გააცინესო.

კაფე.

**პ ა ს უ ხ ი.**

არა ძმაო! ეს მგზავრობა
დღეს არ არის ხელსაყრელი
ვინ იცის სად შეგეყრება
მოღალატე, გამცემელი;
ან მათრახით ვინ აუვა
ხუთმეტ დუჟინ ხულიგანსა?
თუ ჩამიგდეს, გენაცვალეუ,
მომიქცევენ სიგრძეთ განსა.

მაშ მომავალს დაუცადოთ
იქნებ ბედი მოტრიალდეს
ან გაცოცხლდეს ოზურგეთი
ან სრულიად გატიალდეს.

ეშმაკი.

---



აშკარათ სმის მიცემა

**ზ უ ბ რ ი.**

რუსულ მწერლობაში ამ ბოლო დროს ძლიერ ხშირათ ხმარობენ სიტყვა „ზუბრს“.

რა არის ზუბრი?

ზუბრი გახლავთ ველური კამეჩი. ის თითქმის მოისპო ევროპაში. შერჩა მხოლოდ რუსეთს. მთელ თვალ უწვდენელ რუსეთის იმპერიაში ზუბრები მხოლოდ ერთად ერთ ბელოვეჟის ულრანში ცხოვრობენ. ეს იშვიათი ცხოველი რომ არ მოისპოს, ხაზინა დიდძალ ფულებს ხარჯავს მათზე.

ეს არის ნამდვილი ზუბრები, მაგრამ ერობათა წარმომადგენლების უკანასკნელ კრებაზე აღმოაჩინეს ახალი ჯურის „ზუბრები“. ეს გახლავთ გადაგვარებისა და გადაშენების გზაზე დამდგარი წარჩინებული თავად-აზნაურობა. როგორც ნამდვილი ზუბრები, ისე ეს ახალმოდის „ზუბრებიც“ ახლო მომავალში ისტორიას ჩაბარდებიან. მათში მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. როგორც ბელოვეჟის ზუბრები, ისე სრულიად რუსეთის „ზუბრები'' სახელმწიფოს ძლიერ ძვირათ უზის. სამი ივნისის საარჩევნო კანონი ეს ,,ზუბრების'' კანონია და დღეს ფაქტიურათ რუსეთს ზუბრები განაგებენ, მაგრამ როგორც ზევით მოგახსენეთ ულმობელი კანონი ბუნებისა, ორივე ჯურის ზუბრებს მოსპობას უქადის.

ჩვენ საქართველოს მდიდარ ბუნებას ჰყავს რამოდენიმე ნამდვილი ქართული ,,ზუბრი'' მაგრამ ამათ შესახებ შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ისტორიკოსი.

---

**„ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.**

**ხონი**—უ ბ ე დ უ რ ს. „ეშმაკის მათრახი“-ს პირველ ნომერში გწერდით, თქვენი ლექსი რომ დავბეჭდოთ მკითხველები გადაგვერევა. თქვე დალოცვილო რა დაგიჩემებია მაინცა და მაინც ლექსი. აი ეხლაც „ხონის ნოქრები მთელ დღე და ღამეს ქეიფობაში ატარებენ და სულ დაივიწყეს ყველაფერიო. ერთი წელიწადია ერთი კრება ვერ გავმართეთო“. გაგილექსავთ, მარა ისე, როგორც გვაზავას „ლევანი-მტევანი“. უმჯობესი იქნებოდა პროზით მოგეწერათ ეს ამბავი. შემდეგში მაინც ეცადეთ ლექსი ნაკლები სწეროთ და საყურადღებო ამბები უბრალოთ დაწერილი მოგვაწოდოთ.

**პროლეტარს**—აკროსტიხი არ იბეჭდება. ლექსს არა უშავს, მაგრამ...

**ბათომი**—ე ე ს ტ ს. ჩვენ ბათუმში საკუთარი კორესპოდენტი გვყავს, თუმცა ის ამ ბოლო დროს ძლიერ გაგვიძუნწდა ცნობების მოწოდებაზე, მაგრამ თქვენს წერილს შეუმოწმებლათ მაინც ვერ დავბეჭდავთ. ჩვენ იმ მასწავლებლებს ასეთ კაცებათ არ ვიცნობთ, როგორც თქვენ გვიხატავთ.

**ოზურგეთი**—გ ზ ი რ ს. ძლიერ კარგი იქნება თუ ასეთ მოკლე-მოკლე ლექსებს ხშირათ მოგვაწოდებთ.

---

რედაქტორ-გამომცემელი
**თ. ბოლქვაძე.**

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65·